პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 41 (4811)

1973 წ. 28 თებერვალი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ახალი ამბები-73

● **ტალინი, 26 თებერვალი.** აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, მაგრამ შვიდი პარტიიდან ოთხში მეტოქეებმა თამაშის განუახლებლად გაარკვიეს ურთიერთობა: ე. სეიდი (აშშ) ი. პშიბლს (ჩეხოსლოვაკია) დანებდა, ლ. პოპოვი (ბულგარეთი) — მ. ტალს (სსრ კავშირი), ხოლო ყაიმზე შეთანხმდნენ ხ. კიარნერი — ლ. პოლუგაევსკი (ორივე — სსრ კავშირი) და პშიბლი — დ. ბრონშტეინი (სსრ კავშირი). ხანმოკლე თამაშის შემდეგ ი. ნეიმ (სსრ კავშირი) ფინელ ჰ. ვესტერინენს სძლია, ი. ტიმანმა (ჰოლანდია) და ჰ. პფლეგერმა (გფრ) კი ზავს მოაწერეს ხელი. კვლავ გადაიდო პფლეგერ — ვესტერინენის პარტია ფინელი ოსტატისთვის უიმედო მდგომარეობაში. VI ტურის წინ ერთპიროვნულად ლიდერობს ტალი — 4,5 ქულა. II-IV ადგილებს იყოფენ პ. კერესი (სსრ კავშირი), პოლუგაევსკი და ტიმანი, რომლებიც ლიდერს ქულით ჩამორჩებიან. 3-3 ქულა დაუგროვდათ საბჭოთა მოჭადრაკეებს ბ. სპასკის, ი. ბალაშოვს, ბრონშტეინს, ნეისა და ბ. რიტოვს.

● **პარიზი,** 26 თებერვალი. **„მარტინის" პრიზზე გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის ესპადრონისტები** მონაწილეობდნენ. შესანიშნავად იასპარეზა საბჭოთა მოფარიკავემ, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. სიდიაკმა, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელს, უნგრელ პ. მაროტის სძლია. მინსკელმა სპორტსმენმა ეს შეხვედრა მოიგო ანგარიშით 5:3 და საპატიო პრიზსაც დაეპატრონა. უნგრელი მოფარიკავე II ადგილზე დარჩა, III და IV ადგილები კი ვ. ნაზლიმოვმა (სსრ კავშირი) და ე. პავლოვსკიმ (პოლონეთი) გაიყვეს.

● ლენინაბადი, 26 თებერვალი. ექვსდღიანველორბოლაში აქ გამართულ ზამთრის I საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. იუდინმა (ტაშკენტი): ადგილობრივ ტრეკზე ფინალური სერიის საშუალედო ფინიშებზე მან ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. ვერცხლის მედალი კიშინიოველ ა. ხრისტენკოს ხვდა, ბრინჯაოსი — მოსკოველ ე. სმეტანინს. სპრინტში გამარჯვებისთვის ქეტონი ტულელ ა. სუდარჩიკოვს გადაეცა. ამ სახეობაში მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოდესელი ს. კომელკოვი და მოსკოველი ვ. ლოგუნოვი. „ლენინაბადში ტრეკის გახსნა საბჭოთა ველოსპორტის განვითარების ახალ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ, — საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა ჩემპიონატის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ვ. მახვალოვმა. — სპორტსმენებს მთელი წლის განმავლობაში ვარჯიშის საშუალება მიეცათ". პირველმა ჩემპიონატმა ქვეყნის ასამდე უძლიერეს ველოსიპედისტს მოუყარა თავი. ტრეკის ოსტატებთან ერთად აქ იყვნენ „მეგზატკეცილნებიც", რომლებიც მშვიდობის ველორბოლისთვის ემზადებიან. ყველა მოასპარეზეს ძალიან აქო ახალი ტრეკი.

## სენსაციების ტურნირი

ხანგრძლივი „არდადეგების" შემდეგ საბჭოთა მუშკეტერებმა, რომლებიც მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ არ შეკრებილან, კვლავ იშიშვლეს მახვილი და ამას წინათ მინსკში მოიყარეს თავი. ეს გახლდათ საკავშირო ტურნირი, რომელსაც უნდა გამოევლინა ქვეყნის რჩეული მოფარიკავეები როგორც უფროსებს, ისე იუნიორებს შორის. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ტურნირში სპეციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას იუნიორთა გამოსვლებს აქცევდნენ, ვინაიდან სულ მალე ამ ასაკის მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობა გაიმართება. ამიტომაცაა, რომ იუნიორები ახლა უკეთეს სპორტულ ფორმაში არიან. ეს შეჯიბრების შედეგებმაც დაადასტურა. იუნიორებმა ცხრილში საკმაოდ მაღალი ადგილები დაიკავეს. არ ვიქნებით ობიექტური თუ ვიტყვით, რომ ახალგაზრდების წარმატება მხოლოდ მათი კარგი ფორმით და უფროსების სუსტი ასპარეზობით იყო გამოწვეული. დღეს იუნიორთა კლასი თითქმის გაუტოლდა გამოცდილი, მრავლისმნახველი მუშკეტერებისას. ამას დაუმატეთ გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვა და ახალგაზრდული ენერგია.

პირველი სიურპრიზი ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრებამ შემოგვთავაზა, როცა მიუნხენის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა ვ. ნაზლიმოვმა (რსფსრ) ფინალისკენ გზა ვერ გაიკვლია. სამაგიეროდ, 24 წლის მოსკოველმა მ. რენსკიმ, რომელიც აგერ უკვე სამი წელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, საუკეთესოთა შორის ტრიალებს, ბოლოს და ბოლოს იპოვა ადგილი „მზის ქვეშ". VI ადგილი რენსკისთვის წარმატებად უნდა მივიჩნიოთ. ესპადრონისტთა ორწრიანი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ე. ვინოკუროვს (ლენინგრადი) ხვდა. II ადგილზეა მიუნხენის ოლიმპიადის გმირი ვ. სიდიაკი (მინსკი), III — მ. რაკიტა (რსფსრ).

კიდევ უფრო სენსაციური გამოდგა რაპირისტ ვაჟთა ტურნირი. აქ თავი გამოიჩინა 21 წლის ალმაათელმა სტუდენტმა ს. ისაკოვმა. მან ორივე წრეში პირველობა დაისაკუთრა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ რაპირისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი და ტიტულიანი სპორტსმენები გ. სტანკოვიჩი, ვ. პუტიატინი, ლ. რომანოვი, ვ. კოტეშევი და სხვ. II ადგილზე გავიდა პუტიატინი, III — პ. იგნატოვი (ორივე — კიევი).

ქალთა შეჯიბრებაში ბილიკი გამარჯვებულმა დატოვა ასევე ახალგაზრდა რიგელმა ზ. დერაჟინსკაიამ (ფილატოვა). მეორე იყო ს. ჩირკოვა (ტალინი), მესამე — საქვეყნოდ ცნობილი მოფარიკავე, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი გ. გოროხოვა (მოსკოვი).

როცა დაშნით მებრძოლებმა პირველი წრის წინასწარი შეჯიბრებები დაამთავრეს, ფინალისტთა შორის არც ერთი ოლიმპიელი არ იყო, გარდა დაუდგრომელი და მიზანსწრაფული გ. კრისისა. აქაც თავი ახალგაზრდების დელეგატმა, კიეველმა ა. ბიკოვმა გამოიჩინა. მაგრამ უკვე მეორე წრეში გამოცდილებამ იმძლავრა და ფინალში სწორედ ცნობილი დაშნით მოფარიკავეები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის. ორი წრის შემდეგ პირველობა არავის დაუთმო ალმაათელმა ი. ვალეტოვმა. II ადგილი დაიკავა ს. პარამონოვმა, III — გ. კრისმა (ორივე — კიევი).

ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის ხუთი წარმომადგენელი (ტ. ნოზაძე, დალი ბუხრაშვილი, ა. გაგულაშვილი, დ. შარაშენიძე და თ. ესართია) მონაწილეობდა. კარგად გამოვიდა რაპირისტი ნოზაძე. მართალია, ტრისტანმა საბოლოოდ XII ადგილი დაიკავა, მაგრამ იუნიორთა შორის მას მესამე შედეგი ჰქონდა, რაც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის დიდ შანსს აძლევს.

ასევე წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა ხმლით მოფარიკავემ ესართიამაც.

დანარჩენებმა, სამწუხაროდ, სუსტად იასპარეზეს.

**ც. ფცქიალაძე.**

## ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის დიდი ოსტატობა

**გრენობლი, 26 თებერვალი.** ოლიმპიურ სტადიონზე დამთავრდა ორდღიანი ბრძოლა ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ნახევარფინალში. შესანიშნავად გამოვიდა მსოფლიო პირველობებში ხუთგზის გამარჯვებული, უძლეველი საბჭოთა სპორტის ოსტატი გ. კადიროვი, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და 30 შესაძლებლიდან 28 ქულა მოაგროვა. კადიროვთან ერთად ფინალში გავიდა კიდევ ორი საბჭოთა მრბოლელი. ისინი არიან ვ. იმნენკოვი და ა. სუხოვი, რომელთაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

ჩვეულებრივ, ფინალში სასპარეზოდ დაიშვება 16 უძლიერესი მრბოლელი. მათგან ექვსი სსრ კავშირის წარმომადგენელი იქნება. სამ ზემოხსენებულთან ერთად ფინალში გამოვლენ ვ. ციბროვი, ვ. ჩეკალოვი და ბ. სამოროდოვი, რომელთაც ფინალის საგზური ერთი კვირით ადრე მოიპოვეს უფლის ბილეთები.

ფინალური შეჯიბრებები დასავლეთ გერმანიის ქალაქ ინცელში ჩატარდება მარტში.

## „ა" კლ. I ჯგუფი

## უკან დასახევი გზა მოჭრილია

გუშინწინ ლენინის სახელობის დარბაზში თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივმა მორიგი მატჩი გამართა ალმა-ათის „ლოკომოტივთან". ამ შეხვედრის შედეგს, ისევე როგორც ყველა დარჩენილი მატჩისას, თბილისელებისთვის საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან გუნდის წინაშე ერთობ უსიამოვნო პერსპექტივაა დასახული.

ვილნიუსის „სტატიბასთან" ორი წარუმატებელი მატჩის შემდეგ თბილისელები 7 მოგებითა და 17 წაგებით ბოლოსწინა ადგილზე იყვნენ. 7 ქულა ზუსტად ის მინიმუმია, რომელიც ჩვენს გუნდს სახიფათო ზონაში აყენებს. უკან დასახევი გზა თბილისელთათვის მოჭრილია, მაგრამ სასიკეთო პერსპექტივაშიც არაფერი ჩანს.

ალმაათელებთან ორთაბრძოლაში „ბურევესტნიკის" წინაშე ერთადერთი ამოცანა იდგა — როგორმე ქულა აეღო და ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა სატურნირო მდგომარეობა. მაგრამ ქულებს ასეთ მძიმე და შრომატევად ტურნირში მუქთად არავინ არიგებს, თბილისელებს კი, უბრალოდ რომ ვთქვათ, არ შესწევთ ძალა თავის მოედანზე მაინც იბრძოლონ გამარჯვებისთვის.

თავად განსაჯეთ, როგორ შეიძლება წარმატებაზე ფიქრი, როცა გუნდს რწმენა აქვს დაკარგული და მხოლოდ ვალის მოხდის მიზნით თამაშობს? არც „ლოკომოტივი" მაინცდამაინც დიდი ბედია, მაგრამ ამ გუნდს აქვს გამიჯნული ხელწერა, გეგმა, და თამაშს წინასწარ შერჩეული ტაქტიკით წარმართავს. ფარქვენ ალმაათელები თავგამოდებით იბრძოდნენ, იმედიანად კარგავენ ბურთს, ცდილობენ პარტნიორს ხელსაყრელი პოზიცია შეუქმნან და როცა კი ამის შესაძლებლობა იქმნება, არც სწრაფ შეტევებს ერიდებიან.

„ბურევესტნიკს" კი, პირიქით, არ ჰყავს ფარქვენ მებრძოლი კალათბურთელი, ხოლო ისინი, ვისაც ასე თუ ისე შეუძლია ნახტომში გაუმკლავდეს მეტოქეს, მხოლოდ ბრძოლის იმიტაციას ქმნიან. ყველა ცდილობს ინდივიდუალურად გაუვიდეს მეტოქის ფარქვენს, კალათში ტყორცნის ამჯერად შეუფერხებელი მდგომარეობიდან და, თუ კი ბურთი მიზანს ვერ მოხვდა, უკან დაბრუნებისთვის, ნურას უკაცრავად, თავს აღარ იწუხებს.

გუშინწინ „ბურევესტნიკში" ყველაზე სუსტი რგოლი მაინც დაცვა იყო. სწორედ დაცვის მოუქნელობამ და უნიათობამ საბოლოოდ დაუკარგა რწმენა თამაშისადმი, რომლებიც უწინ ზუსტი სროლით მაინც გამოირჩეოდნენ. განსაკუთრებით სუსტად მასპინძლებმა მეორე ტაიმი ჩაატარეს (პირველი ტაიმი ფრედ დამთავრდა — 41:41).

მატჩის საბოლოო შედეგი (76:65 ალმაათელთა სასარგებლოდ) სერიოზული ფიქრისა და დასკვნების საბაბს გვაძლევს. მართალია, ტურნირის ერთი ნახევარი უკვე განვლილია. „ბურევესტნიკს" 25 მატჩში მხოლოდ 7 ქულა აქვს დაგროვილი. წინაა ძნელი დისტანციის მეორე ნახევარი, ასე რომ, მდგომარეობის გამოსწორება (მხედველობაში გვაქვს I ჯგუფში დარჩენა) კიდევ შესაძლებელია. ოღონდ გუნდს მხარში უნდა ამოუდგეს ყველა, ვისაც კი დახმარება შეუძლია. „ბურევესტნიკის" დღევანდელი მდგომარეობა ოპერატიულ და საქმიან მხარდაჭერას მოითხოვს.

**ნ. ახვლედიანი.**

## სსრ კავშირის პირველობა

## უმაღლესი ლიგა

### 87:67

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა მორიგი ტურის ერთი მატჩი: ცსკა-მ დაამარცხა კიევის ასკ — 87:67.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 18 | 16 | 2 | 1571—1301 | 16 |
| „ჟალგირ." | 17 | 13 | 4 | 1297—1198 | 13 |
| „სპარტ." | 16 | 12 | 4 | 1255—1168 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 16 | 10 | 6 | 1180—1167 | 10 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 16 | 9 | 7 | 1169—1158 | 9 |
| „სტროიტ." | 15 | 7 | 8 | 1064—1077 | 7 |
| ასკ | 17 | 4 | 13 | 1094—1191 | 4 |
| „კალევი" | 15 | 4 | 11 | 977—1062 | 4 |
| რტი | 16 | 3 | 13 | 1134—1262 | 3 |
| „ავტომ." | 14 | 2 | 12 | 952—1109 | 2 |

● ●

## ოსტატის ნორმატივი შეასრულა

„ტრუდის" ცენტრალური საბჭოს სამთო-თხილამურო პირველობაში, რომელიც ბაკურიანში, კოხტაგორის ფერდობზე ჩატარდა, 18 გუნდი მონაწილეობდა. რამდენიმე ბაკურიანელმა ამ ტურნირში [illegible] მაღალი შედეგები მიიღო. მაგალითად, ვაჟთა პირველი გიგანტური სლალომის ტრასა (სიგრძე 1600 მ, სიმაღლეთა სხვაობა 400 მ, 56 კარი) ყველაზე სწრაფად გაიარა სპორტის ოსტატმა ი. ნასყიდაშვილმა — 1.33,4, მურმანსკელ სპორტის ოსტატ ა. შინინს, რომელიც „ტრუდის" ჩემპიონი გახდა, მან 0,8 წამი მოუგო. ნასყიდაშვილის თანაგუნდელმა გ. ცხადაიამ შინინთან 0,1 წამი წააგო, სპორტის ოსტატ გ. ჩერეპანოვს (მურმანსკის ოლქი) შედეგია 1.34,7.

მეორე გიგანტურ სლალომში (იგივე მონაცემები) ნასყიდაშვილი არ გამოსულა. ამან შინინს საბოლოო პირველობა მისცა. დღის საუკეთესო შედეგი (1.35,2) ცხადაიამ აჩვენა. ეს დრო [illegible] სპორტის ოსტატმა ა. პოპკოვმაც გაიმეორა, მაგრამ შინინი უფრო სტაბილური გამოდგა და I ადგილი მას მიეკუთვნა.

შინინმა მოიგო სპეციალური სლალომიც (ტრასის სიგრძე 450 მ, სიმაღლეთა სხვაობა 160 მ, 55 და 53 კარი) — 1.32,5 (44,8+47,7). ამ სახეობაში კარგად გამოვიდა პირველთანრიგოსანი გ. ფანჩხაძე (ბაკურიანი, „დინამო"), რომელმაც მეორე შედეგი (1.35,1: 46,0+49,1) აჩვენა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

„ტრუდის" ქალთა ტურნირში თავი ყველაზე მეტად გამოიჩინეს პერმელმა სპორტის ოსტატმა ს. დუბროვინამ და სვერდლოვსკელმა სპორტის ოსტატმა გ. მალოზიომოვამ. დუბროვინამ მოიგო სლალომი (410 მ, 140 მ, 45 და 43 კარი) — 1.24,1, და სწრაფდაშვება (1700 მ, 400 მ, 16 კარი) — 1.22,8, მალოზიომოვამ გიგანტურ სლალომში გაიმარჯვა (1.56,1), სწრაფდაშვებაში II ადგილი დაიკავა (1.23,8), სპეციალურ სლალომში კი მესამე იყო (1.26,5).

საერთო გუნდურ ჩათვლაში მურმანსკის ოლქის მოთხილამურეებმა გაიმარჯვეს — 440 ქულა. II ადგილზეა მოსკოვის ოლქის ნაკრები — 416, III კი ლენინგრადის კოლექტივი — 282.

**რ. მაღრაძე.**

(„ჩვენი სპეც. კორ.").

ბაკურიანი.

• • •

სურათზე: გ. ფანჩხაძე ასპარეზობის დროს.

რ. გელაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჭიდაობას რა უნდა და ფეხის გამოკვრა უნდაო, ამბობს ქართული ანდაზა, თუმცა ფეხის გამოკვრის გარდა ჭიდაობას კიდევ ბევრი სხვა რამ სჭირდება. ილეთებს თავისუფალ ჭიდაობაში მართლაც რა გამოლევს, მაგრამ ზოგჯერ ხალიჩაზე ისეთი თავსატეხი სიტუაცია იქმნება, რომ კაცი ვერ გაიგებს, ვის რა აქვს განზრახული, ვინაა უკეთეს მდგომარეობაში და ვისი ბედი ჰკიდია ბეწვზე. ჭიდაობაც სწორედ იმით არის საინტერესო, რომ მებრძოლთ ფართო შემოქმედებითს ასპარეზს უხსნის. ინიციატივიანი, გონებამახვილი სპორტსმენისთვის არც ერთი ილეთი არ არის დოგმა. იგი მდგომარეობას, როგორც წესი, თვალის დახამხამებაში აფასებს და მერე საჭირო გაგრძელებასაც აგნებს.

ამ ფოტოსურათებიდანაც, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა მ. ზარგარიანმა გადაიღო, ნათლად ჩანს, რატომ გვიყვარს აგრერიგად ჭიდაობა — მამაცთა, ძლიერთა და მოხერხებულთა სპორტი.

---

### რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

# პენალტების სეტყვა! სჭირდება კი იგი საბჭოთა ფეხბურთს?

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ფეხბურთის ცნობილ სპეციალისტთა მოსაზრებანი სსრ კავშირის ჩემპიონატში ფრეს გაუქმებისა და პენალტების საშუალებით გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე. რედაქციის პოზიცია ამ საკითხში ნათელია: ფრეს გაუქმება ხელოვნურად შექმნილი ღონისძიებაა, რომელიც ეწინააღმდეგება ფეხბურთის არსს და ამიტომ იგი ხელს ვერ შეუწყობს ამ თამაშის შემდგომ პროგრესს საბჭოთა ქვეყანაში. ფეხბურთის სპეციალისტთა უმეტესობაც ამ აზრისაა.

მიმოხილვამ მკითხველთა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. რედაქციაში მრავლად მოდის წერილები, რომელთა ავტორები შეხედულებას გამოთქვამენ ამ სიახლეზე, გვთავაზობენ თავიანთ წინადადებებს. ეს ინტერესი გასაგებია: საქმე ეხება არა უბრალო, მეორეხარისხოვან საკითხს, არამედ სერიოზულ რეფორმას საბჭოთა ფეხბურთში, რომელმაც შეიძლება საგრძნობლად შეცვალოს ძალთა ამჟამინდელი შეფარდება.

სანამ მკითხველთა წერილების მიმოხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მივვაჩნია განმარტება გავაკეთოთ გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტადან“ ამოღებული ერთი ციტატის თაობაზე.

„ლიტერატურნაია გაზეტა“ პირველი იყო, რომელმაც იუმორისტულ ფორმებში გაილაშქრა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ამ სიახლის წინააღმდეგ. სხვადასხვა არგუმენტთან ერთად მან ერთი ასეთიც მოიყვანა: ახლა ისღა გვაკლია დავაწესოთ ეზოების გუნდების საყვარელი ლოზუნგი „სამი კორნერი — ერთი პენალტი“, რათა კიდევ უფრო გავზარდოთ შედეგიანობა“. ამით რედაქციამ არაორაზროვნად თქვა, რომ ფრეს გაუქმება ისეთივე აბსურდია, როგორც ქუჩებში მოთამაშე გუნდების „დებულება“: 3 კორნერი — 1 პენალტი.

თბილისელი ფეხბურთის მოყვარული რ. ბოჭორიშვილი გვწერს:

„ფეხბურთმა არ უნდა დაკარგოს სილამაზე. ჩემი აზრით, თანამედროვე რეფორმისტები მოკლებული არიან ამ საინტერესო სპორტული სანახაობის სრულ შეგრძნებას. ფეხბურთი ფრეს გარეშე წაშლის ზღვარს მაღალი კლასისა და უფრო დაბალი კატეგორიის გუნდებს შორის, დაიწყება ახალი ვარიანტების ძიება 2 ქულის შეძენისთვის.

მაყურებელი სტადიონზე მიდის ლამაზი, საინტერესო, მაღალი კლასის თამაშის სანახავად, ამიტომ საჭიროა არა ქულათა მოპოვების ვარიანტების ძიება, არამედ ისეთი მოთამაშეების ძებნა და აღზრდა, როგორიც იყვნენ ფედოტოვი და პაიჭაძე, ბობროვი და ღოღობერიძე, სტრელცოვი და მესხი, ვორონინი და მეტრეველი. პენალტების საშუალებით გამარჯვებულის გამოვლენა კი, რუსული ანდაზისა არ იყოს, ჩხუბის მერე მუშტების ქნევაა, სხვა არაფერი“.

გ. ხეხელაშვილმა (თბილისი) თავის წერილში ასეთი აზრი გამოთქვა:

„სამამულო ფეხბურთის ნამდვილი განვითარებისა და აღმავლობისთვის ჯერჯერობით ვერ გამოიძებნა გზა, რომელიც საქმეს ადგილიდან დაძრავდა. ახლა კი, როგორც ჭექა-ქუხილი მოწმენდილი ციდან, ისე გაისმა დებულება, რომელიც აუქმებს ფრეს და გამარჯვებისთვის აკანონებს სავარჯიშო მეთოდს პენალტების გამოყენებით. ეს მეთოდი კი არ კვეთს იმ რთულ საფეხბურთო კვანძს, რომელსაც „გორდიას ნასკვი“ შეიძლება ვუწოდოთ, არამედ კიდევ უფრო თავსატეხ ამოცანებს აყენებს სპეციალისტთა და მაყურებელთა წინაშე. იგი დაკნინებისკენ უბიძგებს ფეხბურთს.

გუნდების ხელმძღვანელები ახლა დაიწყებენ გზების ძიებას, რომ თავი გაიტანონ 90 წუთში და სპეციალურად გაწვრთნილი ფეხბურთელებით (შეიძლება საამისოდ ასაკგადაცილებული და უპერსპექტივონიც იყოლიონ) გავიდნენ ფონს.

ჩემპიონატში შეტანილი სიახლე განკუთვნილია მხოლოდ იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ქულების დაგროვებას ხელოვნური გზით. ვის სჭირდება ეს?

ამას სჯობს ქულათა რაოდენობა განისაზღვროს უშუალოდ გატანილი ბურთებით: 1 გოლი — 1 ქულა, 2 გოლი — 2 ქულა და ა. შ. ან, თუ მაინცდამაინც ეს საჭიროა, ქულები არ დაიწეროს იმ შემთხვევაში, როცა მატჩი უგოლოდ (0:0) დამთავრდება“.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ბ. პოლოსიანი (სოხუმი) გვწერს:

„გულისტკივილით წავიკითხე ყველასთვის მოულოდნელი ცნობა იმის შესახებ, რომ ფრე საკავშირო ჩემპიონატში გაუქმებულია. საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდი. ეს ხომ ნამდვილი ანტიფეხბურთია, რომელიც სუსტ გუნდებს უხსნის გზას ქულათა საბადოსკენ. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, თუ რა საშუალებებს გამონახავენ ისინი ქულების საძიებლად. რა თქმა უნდა, ასეთები „ბეტონს“ ამჯობინებენ ღია, შემტევ ფეხბურთს.

ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ უკვე შემიძლია მოგიყვანოთ მაგალითი პენალტების უმართებულობისა. ამას წინათ ლესელიძეში საწვრთნელი მატჩი ჰქონდათ თბილისისა და კიევის დინამოელებს. თამაში ძალიან საინტერესო, დაძაბული იყო. ჯერ თბილისელები დაწინაურდნენ, შემდეგ კიეველებმა გაქვითეს ანგარიში — 3:3. გეკითხებით: რაღა პენალტები უნდა ამ ანგარიშს?

ვთქვათ, რომელიმე კონკრეტულ მატჩში მოწინააღმდეგე მხარეთა ძალები, მიუხედავად მწვავე ორმხრივი ბრძოლისა, თანაბარი აღმოჩნდა. რატომ უნდა ვიყოთ ასეთი საბრძოლო ფრეს წინააღმდეგი? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რატომ არ ჰკითხეს წინასწარ წამყვან სპეციალისტებს, ფეხბურთელებს, მსაჯებს?“.

აი, წერილი დუშეთიდან, რომელსაც ხელს აწერს ფეხბურთის მოყვარული ბ. ყარმაზანაშვილი:

„გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ ფრეს გაუქმება საბჭოთა ფეხბურთს დაუკარგავს სილამაზეს, აზრს, შინაარსს. ფრე თამაშის ისეთივე კანონზომიერი შედეგია, როგორც მოგება და წაგება. ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა სერიოზული ექსპერიმენტი ჩაეტარებინათ II ლიგის რომელიმე ზონაში, შეესწავლათ მისი შედეგები, გაეკეთებინათ ანალიზი.

თერთმეტმეტრიანი დარტყმა მძიმე ფსიქიკური გამოცდაა მისი შემსრულებლისთვისაც და მეკარეებისთვისაც. სეზონის მანძილზე ყოველ გუნდს სულ რამდენიმეჯერ აქვს ხოლმე საქმე პენალტთან და ისიც გარკვეულ დაღს ამჩნევს ფეხბურთელს. ახლა კი რა იქნება, როცა მძიმე ფსიქიკური გამოცდა ერთი ათად გაიზრდება“?

ამავე საყურადღებო საკითხს ეხება თბილისელი გ. ბასილაშვილის წერილიც:

„რატომ არავინ მიიღო მხედველობაში მეკარეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა? ახალი რეფორმით ხომ მეკარეს სასტიკი ომი გამოუცხადეს. მთელი სეზონის მანძილზე მისი ნერვები უკიდურესობამდე იქნება დაძაბული. მას მილიონობით თვალი უცქერს ტრიბუნებიდან და ტელეეკრანებზე. შეიძლება ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის შემდეგ მას ყველაფერი გაუფუჭოს „დუჟინობით“ პენალტებმა, ნერვული ტრავმა მას ხანგრძლივი დროით გამოიყვანს წონასწორობიდან, მის ჯანმრთელობას დიდ ზიანს მიაყენებს.

ყოველ მოგებას და წაგებასაც თავისი კანონზომიერება აქვს, პენალტები კი მრავალ შემთხვევითობას და უსამართლობას გამოიწვევს“.

„საქნავთის“ ტრესტის თანამშრომლები ი. კობახიძე, მ. ონიაშვილი, გ. პაიჭაძე და ნ. ჯიბლაძე ფრეს გაუქმებასთან დაკავშირებით გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ეს ღონისძიება არაა მართებული, მაგრამ თუ ეს ასეთ აუცილებლობას წარმოადგენს, ერთმანეთისგან მაინც უნდა გაერჩიათ „წმინდა“ დამარცხება და „პენალტებით“ წაგება. ამიტომ სამართლიანი იქნებოდა ქულათა დარიცხვის ასეთი სისტემა დაეწესებინათ: ძირითად დროში გამარჯვებულს დაეწეროს 3 ქულა, პენალტებით გამარჯვებულს — 2 ქულა, ძირითად დროში დამარცხებულს — 0 ქულა და პენალტებით დამარცხებულს — 1. ქულათა ასეთი განაწილება უფრო ნათელ სურათს მოგვცემს გუნდების ძალთა თანაფარდობაზე და თითოეული ქულისთვის პასუხისმგებლობასაც აამაღლებს.

საინტერესო, საყურადღებო აზრი გამოთქვა ექიმმა რ. როსტიაშვილმა (ბათუმი).

„მატჩის დასასრულს, დიდ დატვირთვათა გადატანის შემდეგ, ფეხბურთელები, განსაკუთრებით, მეკარეები, ფსიქიკურად და ნერვულად მოშლილი არიან, თამაშის სიმძიმე, დაღლილობა განსაკუთრებით იჩენს თავს და ამ დროს მათ ახალი მკაცრი გამოცდა უნდა დაატყდეთ თავს — პენალტები. სუსტად შესრულებული 11-მეტრიანი, ან, პირიქით, იოლი გაშვებული ბურთი მძიმე დაღად დაემჩნევა მოთამაშეს, ამოაგდებს მას კალაპოტიდან.

თუ მატჩის შედეგია ნულოვანი ფრე, შეიძლება არც ერთ მხარეს არ დავუწეროთ ქულა, მაგრამ როცა ანგარიშია 2:2 ან 3:3? რაღა საჭიროა პენალტები?

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პენალტების სეტყვა არ გამოიღებს დადებით შედეგს. ფეხბურთი საცირკო ტრიუკები არაა, მისი გაუფასურება არ შეიძლება.

დაბოლოს, თბილისის „დინამომ“ უკვე ორი საწვრთნელი მატჩი წააგო პენალტების წყალობით. ჩემი აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა გუნდის ექიმმა შესაბამისი კვალიფიკაცია გაიაროს ჩვენს ცნობილ ფსიქოლოგებთან“.

„სავსებით ვეთანხმები ბ. პაიჭაძის, მ. ბერძენიშვილის, გ. გაგუას, ს. შუდრას და სხვათა მოსაზრებას, რომ ფრეს გაუქმება საკავშირო ჩემპიონატში უსაფუძვლო და გაუმართლებელია, — გვწერს ფოთიდან ვ. ალექსანდრია. — არა მგონია, რომ ამ რეფორმამ დიდხანს გაუძლოს“.

მაგრამ მკითხველთა წერილებს შორის აქა-იქ ვხვდებით ისეთებსაც, რომელთა ავტორები მხარს უჭერენ ფრეს გაუქმებას და პენალტების შემოღებას. ი. ჩახუნაშვილს (ქუთაისი), მაგალითად, მიაჩნია, რომ სიახლე მეტ მობილიზებას შეიტანს მებრძოლი მხარეების თამაშში, გაქრება ულიმღამო მატჩები, ძლიერი გუნდები გამარჯვების მოპოვების აუცილებლობის წინაშე დადგებიან.

ასეთივე აზრისაა თბილისელი ზ. ქურდაძე. „ყოველი გუნდი შეეცდება თავგამოდებით იბრძოლოს გამარჯვებისთვის, რათა თავი დაიზღვიოს პენალტებისგან“, — წერს იგი.

პოლემიკაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ნ. ლაბაძემ (სემიპალატინსკი), მ. ფარცხალაძემ (ზესტაფონის რაიონი, სად. სვირი), ბ. სიხარულიძემ (თბილისი), ა. ფოცხვერაშვილმა (ზესტაფონი), მ. ბაჩიაშვილმა (თელავი), რ. მეყანწიშვილმა (ბორჯომი) და სხვ.

## $19^{45}$

## შეცვალეს...

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ კვლავ შეიტანა ცვლილება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის დებულებაში. კერძოდ, შეცვლილია ქულათა ჩათვლის სისტემა.

თუ გუნდმა გამარჯვება მოიპოვა 90 წუთის მანძილზე, იგი ღებულობს 2 ქულას, მაგრამ, თუ თამაშის ძირითადი დროის შემდეგ დანიშნული პენალტების წყალობით გაიმარჯვა, გათამაშების ცხრილში მხოლოდ 1 ქულა ჩაეწერება.

წაგებისთვის ქულა არ იწერება — 0.

---

# საქართველო—სსრ კავშირის მეორე ნაკრები 1:1

ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი აშხაბადში 4 მარტამდე გასტანს.

ტურნირის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. **პირველში** თამაშობენ შვეციის, რუმინეთის, თურქმენეთისა და სსრ კავშირის (პირველი გუნდი) ნაკრები კოლექტივები; **მეორე** ჯგუფში გამოდიან ჩეხოსლოვაკია, გდრ, საქართველო და სსრ კავშირის მეორე ნაკრები. საქართველოს ნაკრები დაკომპლექტებულია „იმედის“ ფეხბურთელებით, რომლებსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი.

გათამაშების I ტურში სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა დაამარცხა შვეციის გუნდი — 1:0. თურქმენეთის კოლექტივმა ასეთივე ანგარიშით მოუგო რუმინელებს.

საქართველოს გუნდისა და სსრ კავშირის მეორე ნაკრების მატჩში ანგარიში გახსნა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაგუამ. საპასუხო გოლი მხოლოდ მატჩის დასასრულს გავიდა — 1:1. ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

დღეს საქართველოს ნაკრები ჩეხოსლოვაკიის გუნდს ხვდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლემიკური შენიშვნები

მინდვრის შუაგულში თამაშზე სხვადასხვა შეხედულებამ დაბადა სხვადასხვა დამოკიდებულება ძალების სპეციალიზაციისადმი. სადღაც (მოთამაშეთა თავდაპირველი—განლაგებისა და მინდორზე მათი გადაადგილების მიუხედავად) ცდილობენ იყოლიონ 5-5 სრულფასოვანი, თითქოს საშტატო თავდამსხმელი და მცველი, რომლებიც დამოუკიდებლად, ყოველგვარი შუალედური ფუნქციონირების გარეშე განახორციელებენ მთელს პლაცდარმზე ურთიერთკავშირს, ურთიერთდახმარებას, ურთიერთმოქმედებას. ჩვენში კი, როგორც წესი, 4 მცველია, მხოლოდ 2 ან 3 თავდამსხმელი, დანარჩენი 3-4 კაცი კი მინდვრის შუაგულის სპეციალიზებული მოთამაშეა, ოპერატიული მუშაკი, საშტატო „უნივერსალი". ისინი რაღაც შუალედურს წარმოადგენენ. ამ მხრივ მათი როლი დაყვანილია იქამდე, რომ, როგორც იტყვიან, „მიმშველებელნი" იყვნენ.

კი მაგრამ, ვის უწყობენ ყველაზე მეტად ხელს ეს „მიმშველებელნი"? აშკარაა, დაცვას, ვინაიდან საშტატო მცველების რიცხვი ახლა სამიდან 4-5-მდე გაიზარდა, „მიმშველებლებზე" რომ აღარაფერი ვთქვათ. რაღა ქნან თავდამსხმელებმა, როცა მათი შტატი „მიმშველებელთა" გულისთვის ორამდე შეამცირეს? იყვნენ საშტატო თავდამსხმელები, ახლა მათს ნაცვლად კი „მიმშველებლები" არიან. ეს ხომ ცა და დედამიწაა. კიდევ ლაპარაკობენ შეტევის და დაცვის ძალების ჰარმონიაზე! კარგია ჰარმონია, როცა დაცვა ძირითადად ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ძალებით ხორციელდება, შეტევა კი მოწვეული ფეხბურთელებით. აქ გამოსავალი ერთია: ურთიერთმოქმედება, ურთიერთდახმარება, ურთიერთკავშირი, ყველგან თამაში (მათ შორის სპეციალურად მინდვრის შუაგულში), ყველა ფუნქციის შესრულება დაევალოთ უშუალოდ მცველებსა და თავდამსხმელებს.

* * *

როცა შეჯიბრებაში აქცენტი გადააქვთ უკიდურესად მექანიკური და საშინაო „რეპეტიციებზე" დაზეპირებული მუშაობის მოცულობაზე, მუშაობისა, რომელიც ჩატარებულია აჩქარებისა და მოქმედებათა შეთანხმებულობისთვის, ამას თავისი სარგებლობაც აქვს და საფრთხეც. ასეთი ფეხბურთი მინდორზე ასრულებს უფრო მწვრთნელის სურვილს (ჩანაფიქრს), ვიდრე ფეხბურთელთა დამოუკიდებელ შემოქმედებას წარმოგვიდგენს.

იბადება სათამაშო იმპროვიზაციის აუცილებლობის საკუთარი, შეზღუდული გაგება. იმპროვიზაცია აქ უფრო იძულებითია. ეს უფრო ექსპრომტული ჩანართებია მზა ტექსტში. აქ თავისი პრინციპებია საფეხბურთო შემოქმედების დრამატურგიაში. ერთ შემთხვევაში ძირითადი ტექსტი ითხზვება უშუალოდ მოქმედების მსვლელობასთან ერთად, ხოლო საშინაო მომზადება აუცილებლად ჩაერთვის თამაშში. ჩვენში კი ასეა, ძირითადი ტექსტი მოქმედების მსვლელობისას საშინაო მეცადინეობისგან შეიკვრება, ექსპრომტები კი შემდეგ ერთვის.

თავისთავად ცხადია, რომ პირველი ფეხბურთი უფრო მაცდუნებელი და შენიღბულია, რადგან უფრო ორიგინალურია. აქ წესია: ფეხბურთელმა მეტოქეს გზა-კვალი უნდა აურიოს, ითამაშოს ისე, რომ, როცა მის სვლას ჩასწვდები, უკვე გვიან იყოს. იგი სავსეა გამომგონებლობით, ფანტაზიით, იმპროვიზაციით, დაფუძნებულია მწვავე სიუჟეტური ექსპრომტების — მოკლე, სწრაფი და სრულიად მოულოდნელი დაბოლოების დრამატურგიაზე. ასეთი ფეხბურთი, რომელიც კოლექტიური თამაშის გამოკვეთილ იმპროვიზაციას მოითხოვს, უფრო მეტ სივრცეს უქმნის საფეხბურთო ინტელექტისა და ჩანაფიქრის არტისტულ განხორციელებას. მაგრამ სწორედ იმიტომ არის იგი ტექნიკურად უფრო მრავალმხრივი და პერიოდულად ურთიერთგაგებისთვის შემოქმედებით პაუზებს, გაგრძელების ძიებას, სხვის დაცვაში სუსტი ადგილების მოსინჯვას საჭიროებს. ესე იგი, იმის გამო, რომ თავისი ბუნებით იმპულსურია, შეტევის საწყის სტადიაში ნელია. ეს კი, ბუნებრივია, მეტოქეს საკუთარი კარის მისადგომებთან ძალების თავმოყრის საშუალებას აძლევს. სხვა სიტყვებით, იკარგება წინააღმდეგობის ორგანიზაციის შეტევით დასწრების მომენტი ანუ არჩეულია უდიდესი წინააღმდეგობის გზა.

მერე რა? იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ჩქარობს ციხე მანამდე აიღოს, სანამ მას დაიცავდნენ, ეს ფეხბურთი ციხეებს იღებს დაცვის სრული მზადყოფნის მიუხედავად. აქ კი იხსნება შეტევის მომზადების არაჩვეულებრივი მნიშვნელობა.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დროს ზოგიერთ გუნდში, მაგალითად, ბრაზილიელთა კოლექტივში იერიშის მომზადება ისე განვითარდა, რომ თამაშის სრულიად დამოუკიდებელ სტადიად ჩანდა. ფეხბურთელები, მსგავსად კალათბურთისა, იწყებდნენ ბურთის აქეთ-იქით ტარებას, გადაგდება-გადმოგდებას, სანამ შეცდომას არ გამოიწვევდნენ ან სუსტ ადგილს არ მოძებნიდნენ: და მაშინ იწყებოდა შეტევა, აფეთქება! ქარიშხლისებური ტემპი! ზღვრული სიჩქარეები! უმაღლესი ოსტატობა!

აქ თავიდან ძალიან უფრთხილდებიან ბურთს, მერე კი სულაც „სულგრძელად" იშორებენ: რაც იყოს, იყოსო. თავიდან თითქოს არაფერი აინტერესებთ, შემდეგ კი ძალ-ღონეს არ იშურებენ. ეს ფეთქებადი რიტმია. ესაა: ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი. ესაა საკუთარი სვლა ყოველი მომზადების შემდეგ. ასეთი კოლექტიური თამაში ნაკლებად დაფუძნებულია მექანიკურ კავშირზე და მეტად — ურთიერთგაგებაზე. ამიტომაც იგი უფრო მახვილგონივრულია, ორიგინალური, უფრო ეგუება სხვის სიურპრიზებს.

მაგრამ რატომ ხდება, რომ ის საბჭოთა გუნდებიც კი, რომლებიც იმპროვიზაციული თამაშისკენ მიისწრაფიან, სრულიად არ იყენებენ შეტევის მომზადების გამოცდილებას, რასაც მათ თამაში უკარნახებთ? იმიტომ ხომ არა, რომ ასეთ თამაშში კავშირი უპირატესად დამყარებულია შემსრულებელთა ურთიერთგაგებაზე, რომლის ათვისება უფრო რთულია და რომელიც თამაშის შეთანხმებულობისთვის ნაკლებ საიმედო საფუძვლად მოჩანს, ვიდრე დაზეპირებული სქემებით ათვისებულ მოქმედებათა ავტომატიზმი ან მექანიკური გადაცემა პირველი „გახსნილი" მოთამაშისთვის.

მექანიკური თამაში თავისუფალ ადგილზე ან პირველ შემომთავაზებელზე ნათელია, რომ უფრო გულახდილი ფეხბურთი ჩანს. როგორც იტყვიან, ესაა თამაში გახსნილი კარტებით. მას მიაჩნია, რომ იმპროვიზაცია, როგორც მოძრაობის, ურთიერთმოქმედების, თამაშის ორგანიზაციის პრინციპი ძვირად ღირებული ეშმაკობაა. ვიმეორებ, ესაა გულახდილი ფეხბურთი: ბურთის მიღებაში დასწრების, მინდორზე ძალების შეჯგუფების, რიცხობრიობაში უპირატესობის მყისვე ორგანიზაციის თამაში. მაღალი ოპერატიულობის, სისწრაფის, გამძლეობის ხარჯზე დასწრების თამაში. ის თითქოს ამბობს: „მე არ ვფარავ ჩემს განზრახვებს, მაგრამ შენ უძლური ხარ წინააღმდეგობა გამიწიო, რადგან ვერ მოასწრებ".

ეს „მექანიკური" ფეხბურთი ცდილობს ეშმაკობით კი არ იმარჯვოს, არამედ პედანტურად და თანდათანობით გაზრდილი დაწოლის გზით ცდილობს ფონს გასვლას. ყველაფერ დანარჩენში იმედებს ამყარებს თვით მსვლელობაზე, რომელიც მოვლენების განვითარების ლოგიკით თითქოს თვითონ მიიყვანს თამაშს ბედნიერ შედეგამდე. კიდევ და კიდევ ვიმეორებ, მისი შანსი, მისი კოზირი დასწრებაა, კიდევ ერთხელ დასწრება, ყველგან მაღალი მანევრულობის ხარჯზე. მისი სტიქიაა შეუჩერებელი გადაცემები, აწყობილი თამაში, სადაც ყოველი დაყოვნება ყალბ ბგერასავით ჟღერს. ეს, მოქმედებების უნისონურობაზე დაფუძნებული თამაშის ორგანიზაცია, ძალაუნებურად იმპროვიზაციულ ფეხბურთზე მეტად ზღუდავს ინდივიდუალობას, ფეხბურთელებისგან მოითხოვს მსხვერპლს, საკუთარი „მეს", ასე ვთქვათ, საერთო მნიშვნელზე დაყვანის თვალსაზრისით. თუმცა, სიტყვა „ზღუდავს" იქნებ მოცემულ შემთხვევაში მთლად გამოსადეგი არც იყოს, ვინაიდან ასეთი თამაში ნაწილობრივ შეესაბამება მისი მიმდევარი ფეხბურთელის გემოვნებას. სწორედ ამიტომ ვერ გაჩნდა იგი ყველგან. გაიხსენეთ: სტილი ადამიანის, საზოგადოების ხასიათის გამოხატულებაა.

თავისი კოზირით ეს „მექანიკური" ფეხბურთი ბევრს აღწევს, განსაკუთრებით იერიშის პირველ მომენტებში, როცა შეტევა სწრაფად, მოუმზადებლად ხორციელდება. მაგრამ გადაცემებით წმინდა თამაშით მუდამ როდი მიაღწევ ყველაფერს, მით უმეტეს, როცა ფანტაზიის ნაკლებობა იგრძნობა, უპირატესად მეტოქის კართან ორომტრიალში. ინდივიდუალური თამაში, პირადი ინიციატივა ისეთივე გარდუვალი და აუცილებელია ფეხბურთში, როგორც ორთაბრძოლა. ამას კი „მექანიკური" ფეხბურთი ძნელად ახერხებს, ვინაიდან თავისი ბუნებით იგი თითქოს უარს ეუბნება ინდივიდუალურ აქციებსა და ექსპრომტებს. ასე რომ, მას თავისი პლუსები და მინუსები აქვს.

იმპროვიზაციულ ფეხბურთში ინდივიდუალური თამაშის მნიშვნელობა უფრო მაღალია თავისი არსით. მოთამაშეს აქ უნდა უყვარდეს და უნდა იცოდეს თამაშის საკუთარ თავზე აღება, ხოლო ის, თუ სად იწყება ამით მოტანილი სარგებლობა და სად ზიანი, თამაშის მსვლელობის მიხედვით თვითონ ფეხბურთელმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს. ეს კი ძალიან რთული საქმეა. აქ შეიძლება ზომიერების გრძნობამ გიღალატოს. ერთი სიტყვით, ინდივიდუალიზმის „გრიმასები" იმპროვიზაციული ფეხბურთის სპეციფიკური, „პროფესიული" ავადმყოფობაა. იგი ხშირად იტანჯება ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისების უწონასწორობით, რაც პირველის უპირატესობაში გამოიხატება, საკუთარი თავით მეტისმეტი გატაცებით, რაც უფრო ნიჭიერ ფეხბურთელებსა და ყველაზე მეტად ვარსკვლავებს ახასიათებთ.

იმპროვიზაციული ფეხბურთისგან განსხვავებით, მეორე უფრო მკაცრ რეგლამენტს აწესებს ინდივიდუალურ თამაშსა და საერთოდ ექსპრომტებზე. აქაც შეიძლება ზომიერების გრძნობამ გვიღალატოს. ერთი სიტყვით, საფეხბურთო ინდივიდუალობის გაუპიროვნებობის მანკი მისი სპეციფიკური „პროფესიული" ავადმყოფობაა. იგი იტანჯება ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისების უწონასწორობით, რაც გამოწვეულია იმპროვიზაციისა და სოლური მოქმედებების მეტისმეტი შეზღუდვით, უწონასწორობით, რაც განსაკუთრებით ჩრდილს აყენებს თვითმყოფადი ფეხბურთელებისა და, პირველ ყოვლისა, ვარსკვლავების თამაშს.

ეს, ასაწყობი მშენებლობის მსგავსად, უფრო უნივერსალური ფორმებისა და ტაქტიკური შაბლონების გამოყენების, მზა კომბინაციური კვანძებისა და ტიპობრივი სქემების ფეხბურთია. მეტოქის კარის მიმართულებით ბურთის ტყორცნის უმოკლესი გზები, გადაადგილებათა გეომეტრიული ფიგურები (სამკუთხედები და სხვ.), სტანდარტული სქემების ტყვეობაში ყოფნა — ტექნიკით მარტივი მექანიკური ფეხბურთის ამ აპოთეოზში, რომელიც მოთამაშის ინტელექტს გამორიცხავს, მოითხოვს ყველაზე მეტს და ყველასგან ერთნაირად, თითქმის ავტომატური გადაადგილებების ჩვევას, სიჩქარესა და გამძლეობას. თითქოს ჩანს, რომ მას, უნივერსალურს, სჭირდება ასეთივე უნივერსალური შემსრულებლები, ისეთივე ერთნაირები, როგორც მათი გამომსახველი რგოლებია საფეხბურთო მაკეტზე.

არავითარი სპეციალიზაცია! ეს იმიტომ, რომ თურმე ყველამ ერთნაირად უნდა ითამაშოს მთელს მინდორზე, მონაწილეობა მიიღოს ყველა ფაზაში და შეასრულოს ყველა ფუნქცია. იმიტომ, რომ, თურმე, „გამომგონებლობა" ურთიერთქმედებას არღვევს და თამაშის მსვლელობას ანელებს. არავითარი სპეციალიზაცია!

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი ე. ამირანაშვილი ისე შორს წავიდა, რომ ექსპერიმენტის სახით ამოწმებს ტაქტიკას, სადაც მინდვრის ყველა მოთამაშე („მეწინდავის" გამოკლებით) გაყოფილია სამ სამეულად. წინასწარ განსაზღვრული წუთების შემდეგ ისინი ავტომატურად ცვლიან ადგილებს: უკანა სამეული გადადის შუას ადგილზე, შუა — წინას ადგილზე, წინა — უკან და ასე, მთელი თამაშის მანძილზე. არავითარი მუდმივი მცველები, ჰავბეკები, თავდამსხმელები!

ერთნაირი თამაში — ყველაფერში ერთნაირი ფეხბურთელები. აქ ერთდროულად რამდენიმე შეცდომასთან გვაქვს საქმე.

ფეხბურთი შეუძლებელია ორთაბრძოლის გარეშე, მაშასადამე, საკუთარი გეგმების მსხვრევის, სიტუაციებში შექმნილი სალტო-მორტალეს გარეშე, სადაც საფეხბურთო ინდივიდუალობა მოწმდება.

ფეხბურთმა არ შეიძლება წარმატება მოიპოვოს მოქმედებათა რაციონალურ ორგანიზაციაში ფუნქციების, ზონებისა და ნიჭიერების მიხედვით მოთამაშეთა ღრმა სპეციალიზაციის გარეშე. თამაშის ყველა ფაზაში მასობრივი მონაწილეობა. მერე რა გამოვიდა? ეს ხომ გაუპიროვნებელი და არაორგანიზებული გროვის სირბილი არ არის. ნუთუ იმისთვის, რომ ეს მოძრაობა უფრო მოხდენილი, ეკონომიური, ზღვრულად ეფექტური იყოს, არ არის საჭირო ყოველი მონაწილისთვის მარშრუტების, კონკრეტული ამოცანების, მიზნების დიფერენციაცია ყოველ ცალკე შემთხვევაში? ნუთუ, ძირითადად, ეს მასობრივი გადაადგილებები არ რეგულირდება უპირატესი მოქმედების ზონებით, რომლებიც მუდამ სხვადასხვაა? დააკვირდით ბრაზილიისა და ინგლისის ნაკრები გუნდების თამაშის სქემებს, ვ. მასლოვის, ნ. გლებოვის და სხვა სპეციალისტთა მიერ გამოქვეყნებულ სქემებს. ყველგან ერთი და იგივეა, ყველა ნომერს თავისი ძირითადი ზონა და მარშრუტების სპეციალიზაცია აქვს. ფუნქციები? სასაცილოა ვიფიქროთ, თითქოს იმის გამო, რომ ფეხბურთელი შეიძლება მინდვრის ნებისმიერ მონაკვეთზე და ნებისმიერ სიტუაციაში აღმოჩნდეს, მას საწყისი ადგილი და სპეციალური დანიშნულება არა აქვს.

ლაპარაკი არ უნდა, ცალ-ცალკე ყოველი მოთამაშის მოვალეობათა სფერო გაიზარდა, გაფართოვდა მოქმედებათა დიაპაზონი, ოსტატობა უნივერსალური გახდა, მაგრამ იგი ყველასთვის თავისებური, სპეციფიკური, საკუთარი ამპლუისა და შესაძლებლობების შესაბამისია. აი, რაში მდგომარეობს არსი. თავდამსხმელი უნდა მონაწილეობდეს დაცვაში, მაგრამ ისე კი არა, როგორც მცველი, არამედ თავისი საკუთარი როლის შესაბამისად. მცველი უნდა მონაწილეობდეს შეტევაში, მაგრამ არა ისე, როგორც თავდამსხმელი, არამედ თამაშში თავისი საკუთარი როლის შესაბამისად. რაც მეტია გინდა ერთდროულად, გინდა ცალ-ცალკე, დაცვაზე ან შეტევაზე გადასულთა რიცხვი, მით უფრო დიფერენცირებულია, სიტუაციებითა და ამოცანებით სხვებისგან გადაწყვეტით, შესრულების ხერხებით, დაბოლოს, შესაძლებლობებით განსხვავებულია ეპიზოდების მონაწილეთა მიერ შესრულებული როლები. მე კიდეც ვიტყოდი, რომ სპეციალიზაციის პროცესს საშემსრულებლო ფუნქციების საერთო გაყოფიდან თითქოს საერთო ფუნქციებში ხასიათისა და მოქმედების ფორმების დიფერენციაციისკენ მივყავართ.

და როცა უნივერსალიზაციაში გულისხმობენ გაუპიროვნებულ ფეხბურთს, სადაც ყველა ერთნაირად თამაშობს და შესაძლებელია მოთამაშეთა ურთიერთშეცვლა — ეს სახიფათო შეცდომაა. აქედან ერთი ნაბიჯია ასეთ ყველაფრის მცოდნე „უნივერსალზე" ორიენტაციამდე. ალბათ ყველას კარგად ახსოვს შემთხვევები, როცა ნაკრებშიც კი თავდამსხმელები აჰყავდათ დაცვაში თამაშის უნარის მიხედვით და პირიქით. მაგალითად, ამ მანკიერი კრიტერიუმის შესაბამისად, თავის დროზე არ იწვევდნენ მ. მესხს, მაშინ ყველაზე შესანიშნავ საბჭოთა ფორვარდს. უპირატესობას ანიჭებდნენ „უნივერსალს", რომელსაც შეუძლია ყველგან ყველაფერი ერთნაირად აკეთოს. მაგრამ რას ნიშნავს ეს „ერთნაირად"? როგორი უნდა იყოს აქ ოსტატობა?

ყოველ ადამიანს აქვს თავისი განსაკუთრებული მონაცემები, თვისებები, შესაძლებლობები. ფეხბურთში ლეონარდო და ვინჩები არ არიან. მაშასადამე, ეს „ყველაფერში ერთნაირები" იმთავითვე უარესნი იქნებიან თავის სტიქიაში — შეტევაში მყოფ თავდამსხმელებზე; უარესნი იქნებიან თავის სტიქიაში — დაცვაში მოთამაშე ნიჭიერ მცველებზე. „ყველაფერში ერთნაირები" — ყველაფერში საშუალონი არიან, რაშიც ჩვენ, სამწუხაროდ, პრაქტიკით დავრწმუნდით. ჩვენ ჩინებული ფეხბურთელები დავკარგეთ. საბჭოთა ფეხბურთი ნაკლებად ქმედითი და თვითმყოფადი გახდა. და ეს ნაწილობრივ მცდარად გაგებული უნივერსალიზაციით ზედმეტად გატაცების ნაყოფია.

* * *

ამჟამად დიდი ლაპარაკია სოლისტებსა და დისპეტჩერებზე. ეს კარგი ნიშანია. მართლაც, საბჭოთა ფეხბურთს არ ჰყოფნის სოლისტები, დრიბლიორები, რომელთაც მეურვისგან არა მარტო გაქცევა შეუძლიათ, არამედ ბურთის სრულყოფილი კონტროლის ხელოვნებას არიან დაუფლებული, სიმჭიდროვეში, ორომტრიალში მეტოქის მოტყუების უნარი აქვთ. გამთამაშებელ მოთამაშეთა პრობლემაც საჭირბოროტოა. ასეთი სახის ფეხბურთელებისადმი ინტერესის გაჩენა მათი სარბიელზე გამოსვლის, მათი ზრდის პირველი პირობაა. მოთხოვნილება კი განაპირობებს წარმოებას.

ვაგრძელებ და კიდევ ერთხელ ვიტყვი: მე ვფიქრობ, რომ უნიკალური ფეხბურთელები სსრ კავშირში აღარ არიან, ვინაიდან დღეს სიმპათიით ვეკიდებით მუშა, უსიტყვოდ შემსრულებელ საშუალო ძალის მოთამაშეებს.

ფეხბურთს უნდა ვუსურვოთ, რომ დღის წესრიგში დასმულმა სოლისტების პრობლემამ ჯაჭვური რეაქციით გამოიწვიოს მეორე — უფრო საერთო მნიშვნელობის — საშუალოსთან შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობა.

ნეტავი მოვრეოდით ამ საშუალო მოთამაშეებს, გამოგვეყვანა გუნდში ორი-სამი მართლაც დიდი ფეხბურთელი, და მაშინ გენახათ, რას ვიზამდით.

გამოგვეყვანა... კარგად ვიცი, რას ნიშნავს ეს. რა ღრმა წინამძღვრებთანაა დაკავშირებული. მაგრამ ამოცანის გადაწყვეტა იწყება მისი გაგებითა და გადაწყვეტის სურვილით. მაშ, დავიწყოთ აქედან, დავარწმუნოთ საკუთარი თავი იმაში, რომ უვარსკვლავებოდ არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი, შინაარსიანი და ლამაზი საფეხბურთო ცხოვრება.

მაღალი კლასის მთავარი ნიშანი უპირველეს ყოვლისა ალბათ სხვისი კარის აღების უნარია. თუ კი ეს არის, დანარჩენი თვისებებიც თავისთავად გაჩნდება. ეჰ, როგორ გვაკლია ნამდვილი ხელოვანი ფეხბურთელები სწორედ ამ სხვის კართან. რატომაა ზოგიერთი ფეხბურთელი უნიკალური? რა ანიჭებს მას ამ ღირსებას? არა იმდენად მის განკარგულებაში არსებული ტექნიკური ხერხების, ათლეტური შესაძლებლობების, ტაქტიკური აზროვნების, ნებისყოფის პოტენციალის უპირატესობა, რამდენადაც ყოველივე ამის ყველაზე მრავალმხრივი, ორიგინალური, ეფექტიანი და ეფექტური გამოყენების უნარი. ასე რომ, საიდუმლო კუნთებში როდია, იგი უფრო მეტად ფსიქიკის თავისებურებაში მდგომარეობს.

მინდორზე თითქოს არაფერი ხდება არაჩვეულებრივი. არც შეიძლება მოხდეს, ვინაიდან არ არსებობს, ვთქვათ, გოლის გატანის სხვა ხერხი, გარდა საქვეყნოდ ცნობილი გადაცემისა, სოლური აქციისა, სწრაფი ბიძგისა და ა. შ. მაგრამ ეს ზოგს ეხერხება, ზოგს არა, განსაკუთრებით, მჭიდრო დაცვის პირობებში. საქმე ისაა, რა ხარისხისაა ამ ყველასთვის ცნობილი საშუალებებით გამოსახული ჩანაფიქრი მინდორზე და როგორ ხორციელდება იგი.

საშემსრულებლო ოსტატობა და სიუჟეტი — აი, რისგან შედგება საფეხბურთო მოქმედება. მაგრამ რანაირად იქმნება საფეხბურთო ეპიზოდების ეს მოკლე მწვავე კონფლიქტური ფაბულები, რაც სწრაფად თამაშდება მინდვრის „სცენაზე" სხვის კართან? რა წარმოშობს ამ დრამატურგიას? ვინ არის ამ მეტად სიუჟეტური ერთეპიზოდიანი „პიესების" ავტორი, ბოლოს, საიდან იღებენ ამ პატარა „პიესებს"? ზოგჯერ იღებენ მეხსიერების „ბიბლიოთეკიდან", რომელიც მყისვე სთავაზობს ფეხბურთელს რაღაცას უკვე მზა დრამატურგიული რეპერტუარიდან. მაგრამ უპირატესად პიესები ადგილზე ითხზვება აუცილებლობის მიხედვით. ითხზვება მკაცრი ცაიტნოტის პირობებში. რაც უფრო ახლოს ხარ კართან, მით უფრო სწრაფია სიტუაცია იმის სასარგებლოდ, ვისაც უფრო სწრაფი ორიენტირების უნარი აქვს, ვინც ქმნის და ახორციელებს უფრო მოსახერხებელ და უეცარ სიუჟეტებს. მსახიობი (ფეხბურთელი) თავისი თავის დრამატურგია ამ საფეხბურთო ბლიცშემოქმედებაში. ვარსკვლავს, კიდევ ვიტყვი, ალბათ განასხვავებს არა იმდენად უპირატესობა საშემსრულებლო ოსტატობაში, რამდენადაც ორიენტაციის სისწრაფესა და ხარისხში, სიუჟეტურ აზროვნებაში. ასეა თუ ისე, რარიგ გამოცდილი და გონიერიც უნდა იყოს მეტოქე თავის საჯარიმო მოედანზე, მახვილგონივრული სვლებითა და შესრულების მაღალი ხელოვნებით მაინც შეიძლება გზა-კვალი აურიო, აჯობო, სადღაც უეცრად გაასწრო, დაცვა გაარღვიო და კარამდე მიხვიდე. სწორედ იმიტომ გაჰქონდათ თავისი ბრაზილიელებს, როგორც ბევრ სხვას მექსიკაში, რომ შეეძლოთ ყოველგვარი გოლის ინდივიდუალური ოსტატობისა და საფეხბურთო დრამატურგიის პატარა საოცრებად გადაქცევა.

მაშ, ვადიდოთ ფეხბურთელის ნიჭი!

**ვ. მდივანი.**

დასასრული. იხ. „ლელო" №№ 32, 37.

# მატჩის გმირია მეკარე

**გლაზოვი, 26 თებერვალი.** ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტურის წინ ლიდერობენ მოსკოვის არმიელები, რომელთაც 10 ქულა აქვთ. მათი შეხვედრა ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის სტუდენტებთან გამარჯვებით დამთავრდა — 21:20. ცსკა-ს წარმატებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მეკარე ა. სკრიპნიკის საუცხოო თამაშმა. მან ოთხი 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის მოგერიება შეძლო, თანაც ბოლო პენალტი არმიელთა კარში მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე დაინიშნა.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „ალუმინსტროი" (ზაპოროჟიე) — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ტაშკენტი) 20:16, საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ასკ (კიევი) 34:19, „კუნცევო" (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი" (კრასნოდარი) 28:19.

სატურნირო ცხრილში II ადგილზეა „კუნცევო" — 9 ქულა. III ადგილზე მყოფ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს 8 ქულა აქვს.





# ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ, ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

კვირა საღამოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სპორტის განყოფილებამ და ტელესაჭადრაკო ჟურნალმა „სამორინემ“ მოაწყვეს საკონსულტაციო პარტია საერთაშორისო დიდოსტატ ბ. გურგენიძესა და ახალგაზრდა თბილისელ ოსტატობის კანდიდატებს ე. აფრიდონიძეს, გ. მაჭარაშვილსა (ორივე — უნივერსიტეტი) და გ. ზაიჩიკს (50-ე საშუალო სკოლა, X კლასი) შორის.

თამაში ტელევიზიის ორ სტუდიაში მიმდინარეობდა: ერთში დიდოსტატი იყო, მეორეში — კონსულტანტები. მეტოქეებს ერთმანეთის სვლებს გადასცემდა ოსტატობის კანდიდატი ზ. აზმაიფარაშვილი (თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, VI კლასი). მესამე სტუდიიდან ამ სტრიქონების ავტორი ტელემაყურებლებს დროგამოშვებით უამბობდა და სადემონსტრაციო დაფაზე აჩვენებდა პარტიის მსვლელობას.

შეხვედრამ, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, მძაფრ ბრძოლაში ჩაიარა. ჰოლანდიურ დაცვაში გურგენიძემ კონსულტანტებს პაიკის საინტერესო შეწირვა შესთავაზა. ახალგაზრდებმა გამოწვევა მიიღეს. ეს დიდი რისკი იყო, მაგრამ დიდოსტატმა აღარ გაამწვავა თამაში, მცირე პოზიციურ უპირატესობას დასჯერდა.

როცა ხანგრძლივი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მე-17 სვლაზე კონსულტანტები პაიკის მოგებას დაჰხარბდნენ და მათი მეფე გამანადგურებელი იერიშის ქვეშ მოჰყვა.

გთავაზობთ პარტიას:

**ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ — ᲐᲤᲠᲘᲓᲝᲜᲘᲫᲔ,**
**ᲛᲐᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
**ᲖᲐᲘᲩᲘᲙᲘ**

ჰოლანდიური დაცვა

1. მf3 e6 2. c4 f5 3. მc3 მf6 4. h3 b6 5. g4 fg 6. hg მ:g4 7. ლc2 მf6 8. მg5 ლe7 9. ე:h7 ე:h7 10. ლg6+ მფd8 11. მ:h7 მ:h7 12. ლ:h7 მc6 13. d3 კb7 14. კg2 მფc8 15. ლh1 ლf6 16. კd2 კe7 17. 0—0—0 ლ:f2 18. ეf1 ლg3 19. ეf7 კd8 20. ეf8 d5 21. კf4 ლf2 22. cd მd4 23. ე:d8+ მფ:d8 24. ლh8+ მფe7 25. ლ:g7+ მფe8 26. ლg8+ მფd7 27. ლf7+. შავები დანებდნენ.

საკონსულტაციო პარტია მოჭადრაკეთა შეჯიბრების უდავოდ მიმზიდველი ფორმაა. ასეთ პარტიებს ხშირად თამაშობდნენ ჭადრაკის კორიფეები ვ. სტეინიცი, ე. ლასკერი, მ. ჩიგორინი, ა. ალიოხინი და სხვ. ისინი ერთმანეთის კონსულტაციით თამაშში ღრმად სწვდებოდნენ მათთვის საინტერესო პრობლემებს. საკონსულტაციო პარტია ახალგაზრდებს ხელს უწყობს კვლევითი უნარის განვითარებაში, საჭადრაკო აზროვნების დახვეწაში... ამიტომ, მონაწილეთა შეხედულებით, საკონსულტაციო პარტიები ჩვენში ფართოდ უნდა გავრცელდეს, როგორც მოჭადრაკეთა წვრთნის ერთ-ერთი საშუალება.

კარგი საქმე გააკეთეს ტელევიზიის მესვეურებმა, მილიონობით ტელემაყურებელს რომ გააცნეს ჭადრაკში კიდევ ერთი მიმზიდველი შეჯიბრება.

**თ. გიორგაძე,**
საერთაშორისო არბიტრი.

* * *

სურათებზე: ზ. აზმაიფარაშვილმა დიდოსტატ ბ. გურგენიძეს კონსულტანტების სვლა მიუტანა და მას დაფაზე აკეთებს. კონსულტანტები (მარცხნიდან) გ. მაჭარაშვილი, ე. აფრიდონიძე და გ. ზაიჩიკი თათბირობენ, ხოლო ტელეოპერატორი გ. ივანიშვილი ამ თათბირზე ტელემაყურებლებს „ახწრებს“.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ

ჭადრაკში საქართველოს თასებისთვის ბრძოლა უაღრესად დაიძაბა. ეს გუშინწინ გამართულმა მეოთხედფინალური მატჩების მეორე შეხვედრებმაც დაადასტურა.

ვაჟთა ტურნირში ოსტატმა ა. ბოკუჩავამ სძლია ოსტატობის კანდიდატ დ. გედევანიშვილს (ორივე — თბილისი) და მატჩიც მოუგო — 2:0. ახეთივე ანგარიშით გაიმარჯვა ოსტატმა ა. ბუსლაევმა ოსტატობის კანდიდატ მ. ჭიპაშვილთან.

ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატმა ე. აფრიდონიძემ (თბილისი) სოხუმელ ოსტატობის კანდიდატ ა. ტუზოვსკისთან შეხვედრაში ყაიმის მეტს ვერაფერს მიაღწია და მატჩი წააგო — 0,5:1,5.

ოსტატი ჯ. ბერაძე (წყალტუბო) ოსტატობის კანდიდატ ი. მანიშეროვს (სურამი) შეხვდა. თამაში ყაიმით დამთავრდა, მაგრამ მატჩი ოსტატმა მოიგო — 1,5:0,5.

ამრიგად, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: ბოკუჩავა — ბერაძე და ბუსლაევი — ტუზოვსკი.

გამოვლინდნენ ქალთა ნახევარფინალური მატჩების მონაწილენიც. გუშინწინ ქალებმა მეოთხედფინალური მატჩების მეორე პარტიები ითამაშეს.

ოსტატობის კანდიდატმა მ. ჩიბურდანიძემ ლ. გელიაშვილს მეორე პარტიაც მოუგო. ოსტატობის კანდიდატმა ლ. კოროშინაძემ ასევე მეორედ სძლია ნ. გურიელს. ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი (ყველა — თბილისი) ყაიმს დასჯერდა ნ. ჯანჯღავასთან (ცხაკაია), რაც მატჩის მოსაგებად (1,5:0,5) საკმარისი იყო. თბილისელების ს. ცერცვაძისა და ლ. ბელოზიოროვას მატჩი საბოლოოდ ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 3:1 (მან ორივე ელვისებური პარტია მოიგო).

ქალთა ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან: ჩიბურდანიძე — ბელოზიოროვა და წერეთელი — კოროშინაძე. მეტოქენი ორ-ორ პარტიას გაითამაშებენ. ყაიმის შემთხვევაში დამატებით კიდევ ორი ელვისებური პარტია მოეწყობა. თუ ეს მატჩიც ყაიმით დასრულდა, მაშინ ბრძოლა ელვისებურ თამაშში მოპოვებულ პირველ შედეგამდე გაგრძელდება.

**თ. ნინოშვილი.**

---

•KOPANA•ФУТБОЛ•ფეხბურთი•LABdARUGAS•

# ᲚᲘᲡᲐᲑᲝᲜᲘᲡ „ᲑᲔᲜᲤᲘᲙᲐ“: 42 ᲥᲣᲚᲐ 42-ᲓᲐᲜ!

## ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

შაბათს „ლივერპული“ შინ შეხვდა „იფსვიჩ თაუნს“ და გაიმარჯვა — 2:1. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს ჰეიუეიმ და კიგანმა. ამ მოგებამ გუნდს ლიდერობა დაუბრუნა, მაგრამ მისი ყველაზე საშიში მეტოქე — ლონდონის „არსენალი“ იბრძვის არა მხოლოდ ჩემპიონის ტიტულისთვის, არამედ თასისთვისაც. „არსენალმა“ თასის გათამაშების მორიგ ტურში სტუმრად მოუგო „კარლაილ იუნაიტედს“ (2:1) და „დუბლს“ უმიზნებს.

ჩემპიონატის მოწინავე სამეული ახლა ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლივერპული“ | 31 | 59:33 | 44 |
| „არსენალი“ | 31 | 43:27 | 44 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 29 | 51:30 | 40 |

### ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ

თასის გათამაშების მორიგ ტურში გლაზგოს „სელტიკმა“ შაბათს მოუგო „მადერუელს“ — 4:0. გოლები გაიტანეს დინსმა (2), დალგლიშმა და ლენოქსმა.

„გლაზგო რეინჯერსმა“ და ედინბურგის „ჰიბერნიენმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

„დანდიმ“ ასტრონომიული ანგარიშით მოუგო II ლიგის გუნდს „სტრენრარს“ — 9:2.

### ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

თასის გათამაშების მორიგ ტურში მარსელის „ოლიმპიკმა“ მოუგო „აიაჩოს“ — 2:0.

„სენტ-ეტიენმა“ დაამარცხა „კანი“ — 1:0. გოლი 90-ე წუთზე გაიტანა მარცხენა გარემარბმა ბერეტამ.

### ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ

ჩემპიონატის XXI ტურში ლისაბონის „ბენფიკამ“ ანგარიშით 3:0 სძლია ბარეიუროს „ბარეირენსეს“ და სატურნირო ცხრილში 21-ე (!) გამარჯვება ჩაიწერა. ლიდერს 42 ქულა აქვს!

### ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ენსხედეს „ტვენტემ“ შინ დაამარცხა „გრონინგენი“ — 4:2, „ეინდჰოვენმა“ კი სტუმრად მოუგო „დენ ბოსხს“ — 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი“ | 21 | 55:13 | 38 |
| „აიაქსი“ | 21 | 70:12 | 36 |
| „სპარტა“ (როტერდ.) | 21 | 59:17 | 33 |
| „ტვენტე“ | 29 | 31:18 | 29 |

### ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

„ფკ ბრიუჟმა“ ფრედ ითამაშა „მეჰელენთან“ — 0.0. „ბერჰემ სპორტმა“ შინ მოუგო ბრიუსელის „ანდერლეხტს“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფკ ბრიუჟი“ | 21 | 38:17 | 32 |
| „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 21 | 28:15 | 28 |
| „რასინგ ვიტი“ (ბრიუსელი) | 21 | 29:13 | 26 |

### ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

სტამბულის „გალათასარაიმ“ სტუმრად ფრედ ითამაშა „მერსინთან“ — 0:0. სტამბულის „ფენერბახჩემ“ იზმირში მოუგო ადგილობრივ „ალთაის“ (1:0), ხოლო „ანკარაგიუჩუმ“ შინ დაამარცხა „სექერსპორი“ — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „გალათასარაი“ | 17 | 22:6 | 23 |
| „ფენერბახჩე“ | 17 | 24:11 | 23 |
| „ანკარაგიუჩუ“ | 17 | 15:8 | 22 |

# ᲗᲐᲡᲔᲑᲘ, ᲗᲐᲡᲔᲑᲘ...

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ — ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

დაიწყო ინგლისისა და იტალიის კლუბების ტრადიციული შეჯიბრება. ტურნირის მონაწილე გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი.

გაიმართა „ბ“ ჯგუფის მონაწილეთა სამი მატჩი (სამივე იტალიაში). აი, მათი შედეგებიც: „ბოლონია“ — „ოქსფორდი“ 0:0, „კომო“ — „ფულჰემი“ 0:0, „რომა“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 0:2. ორივე გოლი ტიუდორმა გაიტანა.

● ●

### ᲞᲔᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, აზიასა და აფრიკაში ხანგრძლივ ტურნეს მართავს პელეს კლუბი „სანტოსი“. 90 ათასი მაყურებელი დაესწრო ბრაზილიელთა შეხვედრას კაიროში ადგილობრივ „ნაციონალ-კლუბთან“. სტუმრებს დიდი უპირატესობ ჰქონდათ და გაიმარჯვეს — 5:0. ორი ბურთი პელემ გაიტანა.

ხართუმში (სუდანი) „სანტოსმა“ დაამარცხა ადგილობრივი „ფკ ჰილალი“. პელემ აქაც გაიტანა გოლი.

● ●

### ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲡ

მიუნხენში გფრ-ის ნაკრებთან სენსაციური გამარჯვების შემდეგ არგენტინის ნაკრები ისრაელში გაემგზავრა, სადაც თელ-ავივში შეხვდა იქაურ ეროვნულ ნაკრებს, რომელიც უმნიშვნელო ძალის გუნდად ითვლება. სამხრეთამერიკელებმა ამჯერად სუსტად ითამაშეს და ფრეს დასჯერდნენ — 1:1.

● ●

### ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲘ

მაცოლა აპირებს ფაკეტის გაასწროს იტალიის ნაკრებში გამოსვლების რიცხვით. „ინტერნაციონალეს“ ახლანდელმა კაპიტანმა ნაკრებში 59-ჯერ ითამაშა, თანაც 29-ჯერ ცენტრალური თავდამსხმელი იყო, 7-ჯერ — გარემარბი, 23-ჯერ — ნახევარმცველი.

ბოლო წლებში მაცოლას მტკიცედ მიუჩინეს ადგილი ნახევარდაცვაში.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

---

# ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ

ბუქარესტი, 26 თებერვალი. „ბროლის თასზე“ აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ლენინგრადელმა ვ. ვოიკინმა ყველაზე შორს ჰკრა ბირთვი — 19,20 მ. ევროპის ჩემპიონმა ი. გუზენბაუერმა (ავსტრია) გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში — 186 სმ. 60 მეტრზე თარჯრბენში მასპინძლებმა — რუმინელმა მძლეოსნებმა იმარჯვეს: ქალთა შორის — მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ვ. ბუფანუმ (8,1 წამი), ვაჟებში — ნ. პერციამ (7,7. დარბაზებისთვის ეროვნული რეკორდის გამეორება). სიგრძეზე ხტომაში თავი გამოიჩინა შვეიცარიელმა რ. ბერნარმა — 762 სმ.

კოტბუსი, 26 თებერვალი. გდრ-ის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრებაში ანელი ერჰარდტმა მსოფლიო მიღწევა დაამყარა — ადგილობრივ დარბაზში 100 იარდი 10,69 წამში გაირბინა. 400 მეტრზე რბენაში რენატა ზიბახმა კონტინენტის საუკეთესო მაჩვენებელი გაიმეორა — 53,1. ბირთვი ყველაზე შორს ჰკრა გ. ლოჰმანმა — 20,41 სმ. მისი დანარჩენი ორი ცდაც კარგი იყო: 20,27 და 20, 09 მ.

სოფია, 26 თებერვალი. ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის მატჩში მიუნჰენის XX ოლიმპიური თამაშების ვერცხლის ლაურეატმა, ბულგარელმა დ. იორგოვამ ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში — 645 სმ. ჰ. ფიბინგეროვამ (ჩეხოსლოვაკია) გაიმარჯვა ბირთვის კვრაში — 19,28 მ.

ზაბჟე, 26 თებერვალი. პოლონეთის ჩემპიონატში მოასპარეზე დანუტა პეკიკმა დარბაზებისთვის ეროვნული რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე რბენაში — 55,5.

დასავლეთ ბერლინი, 26 თებერვალი. რ. კურეცკიმ (გფრ) ჭოკით 530 სმ სიმაღლე დაძლია. დასავლეთგერმანელმა სპრინტერებმა მ. შუმანმა და გ. ნიკელმა 50 მეტრზე თარჯრბენში ერთნაირ შედეგს (6,7 წამი) მიაღწიეს.

---

# ᲐᲚᲘ — ᲚᲐᲑᲔᲠᲡᲘ

მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის ჰოლანდიის ჩემპიონი რუდი ლაბერსი მაისში ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში შეხვდება მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მუჰამედ ალის (აშშ), — ასე განაცხადა ლაბერსის მენეჯერმა ჰენკ რუპლინგმა. მანამდე კი, როგორც ვწერდით, ალის 31 მარტს თანამემამულე კენ ნორტონთან მოელის ორთაბრძოლა.

შეგახსენებთ, რომ 16 იანვარს ალის ამაწინანდელმა მეტოქემ, ინგლისელმა ჯო ბუგნერმა ევროპის ჩემპიონის წოდება სწორედ ლაბერსთან შეხვედრაში დაიცვა — ქულებით დაამარცხა იგი.

ალი — ლაბერსის ორთაბრძოლის თარიღი ამ დღეებში დადგინდება.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 68448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 11308